

№1

უცხოური საქონლისა და მომსახურების მოხმარება	100
ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების მოხმარება	900
უცხოური ინვესტიციები	20
შიდა ინვესტიციები	180
უცხოური საქონლის სახელმწიფო შესყიდვები	0
ადგილობრივი საქონლის სახელმწიფო შესყიდვები	500
ექსპორტი	100

მოცემული მონაცემების მიხედვით რა არის იმპორტის მოცულობა?

- A. 0
- B. 120
- C. 1,000
- D. 1,580

ამოხსნა:

მოც: $C^f=100,$ $C^d=900,$ $I^f=20,$ $I^d=180,$ $G^f=0,$ $G^d=500,$ $EX=100$ $IM=?$	$IM=C^f+I^f+G^f=100+20+0=120$
--	-------------------------------

პასუხი: B

-----

№2

უცხოური საქონლისა და მომსახურების მოხმარება	100
ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების მოხმარება	900
უცხოური ინვესტიციები	20
შიდა ინვესტიციები	180
უცხოური საქონლის სახელმწიფო შესყიდვები	0
ადგილობრივი საქონლის სახელმწიფო შესყიდვები	500
ექსპორტი	100

მოცემული მონაცემების საფუძველზე, რა არის წმინდა ექსპორტის მოცულობა?

- A. -20
- B. 0
- C. 120
- D. 1,580

ამოხსნა:

მოდ: $C^f=100,$ $C^d=900,$ $I^f=20,$ $I^d=180,$ $G^f=0,$ $G^d=500,$ $EX=100$ <hr/> $NX=?$	$NX=EX-IM$ $IM=C^f+I^f+G^f$ $NX=EX-(C^f+I^f+G^f)=100-(100+20+0)=100-120=-20$
--	--

პასუხი: A

-----

№3

თუ წმინდა ექსპორტი დადებითია, მაშინ რომელი დებულებაა მცდარი?

- A. ადგილობრივი წარმოება აღემატება ადგილობრივ ხარჯვას
- B. დაზოგვა აჭარბებს შიდა ინვესტიციებს
- C. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების სალდო დადებითია
- D. ადგილი აქვს სავაჭრო ბალანსის დეფიციტს.

სწორი პასუხია C რომლის თანახმად კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების სალდო  $(I-S)>0$ . ჩვენ კი ვიცით – იმისათვის რათა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო EX იყოს დადებითი, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების სალდო  $(I-S)$  აუცილებლად უნდა იყოს უარყოფითი. ამიტომ ეს პასუხი მცდარია.

პასუხი: C

-----

№4

თუ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების სალდო დადებითია მაშინ

- A.  $(S-I)<0$
- B. კერძო დანაზოგვები აღემატება კერძო ინვესტიციებს
- C.  $NX>0$
- D. ერთობლივი დაზოგვა აღემატება ერთობლივ ინვესტიციებს

თუ  $(I-S)>0$ , მაშინ  $(S-I)<0$

პასუხი: A

-----

№5

მცირე ღია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს

- A. დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორობა
- B. მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი
- C. სახელმწიფო ხარჯების მეტობა სახელმწიფოს შემოსავლებზე
- D. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების სალდო

საპროცენტო განაკვეთი ჩაკეტილ ეკონომიკაში ინვესტიციებისა და დანაზოგების წონასწორობით განისაზღვრება, ხოლო ღია ეკონომიკაში, მცირე ქვეყანა არის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის მიმღები, მისი საპროცენტო განაკვეთი ემთხვევა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს.

პასუხი: B

-----

№6

მცირე ღია ეკონომიკაში რომელი საპროცენტო განაკვეთი უდრის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს

- A. რეალური საპროცენტო განაკვეთი
- B. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი
- C. ორივე, რეალური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი
- D. დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია ვალუტის გაცვლითი კურსი, ფიქსირებული თუ ცვალებადი.

პასუხი: A

-----

№7

თუ კანადელი ბიზნესმენი ყიდულობს 1 მლნ. დოლარის ღირებულების აქციებს ამერიკული კომპანიისგან, როგორ შეცვლის ეს ტრანსაქცია აშშ-ს მთლიან ეროვნულ შემოსავლებს?

- A. სავაჭრო ბალანსი გაიზრდება, ჩვენს (ამერიკელების) მიერ განხორციელებული ექსპორტით \$ 1 მლნ. ოდენობით
- B. სავაჭრო ბალანსი შემცირდება ჩვენს მიერ იმპორტირებული კანადური ინვესტიციით
- C. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება გაიზრდება \$1 მლნ-ით.
- D. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება შემცირდება \$1 მლნ-ით.

აქციების ყიდვა არის ინვესტიცია, ამიტომ იზრდება I ერთი მილიონი დოლარით. დანაზოგები (S) კი არ შეცვლილა. რადგანაც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება არის (I-S). ამიტომ გაიზრდება მისი მნიშვნელობა \$1 მლნ-ით.

პასუხი: C

-----

№8

$$Y=1,000$$

$$C=700$$

$$G=150$$

$$I=250-1,000r^*$$

მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი 5 %-ია. რას უდრის წმინდა ექსპორტი?

- A. 50
- B. -50
- C. 150
- D. -150

ამოხსნა:

$$I=250-1,000*0.05=250-50=200$$

$$Y=C+I+G+NX, \quad NX=Y-C-G-I$$

$$1000-700-150-200=-50$$

პასუხი: B

-----

№9

$$Y=1,000, \quad C=650, \quad G=200, \quad I=250-2,000r^*$$

მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი 7.5 %-ია. როგორ უნდა შეიცვალოს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი, რათა წმინდა ექსპორტი ნულს გაუტოლდეს?

- A. უნდა გაიზარდოს 5 პროცენტით
- B. უნდა გაიზარდოს 2.5 პროცენტით
- C. იგივე უნდა დარჩეს
- D. უნდა შემცირდეს 2.5 პროცენტით

ამოხსნა:

$$Y=C+I+G+NX, \quad NX=Y-C-G-I$$

$$NX=0, \quad 0=1,000-650-(250-2,000r^*), \quad 100=2,000r^*, \quad r^*=100/2,000=0.05 \text{ ანუ } 5\%$$

იმისათვის რომ  $NX$  იყოს 0-ის ტოლი,  $r^*$  უნდა იყოს 5 პროცენტი. ამიტომ უნდა დაიკლოს 2.5 %-ით.

პასუხი: D

-----


№10

მცირე ღია ეკონომიკის მოდელში, თუ ქვეყანა იწვევს დაბალანსებული ვაჭრობით, რა მოხდება თუ სახელმწიფო გაზრდის გადასახადებს?

- A. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების სალდო გახდება უარყოფითი
- B. საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება
- C. წმინდა ექსპორტი შემცირდება
- D. წარმოიქმნება სავაჭრო ბალანსის ნამეტი.

ამოხსნა:

ვიციტ, რომ მოხმარების ფუნქციას აქვს სახე:  $C=C(Y-T)$ . ამ ფორმულიდან ნათლად ჩანს, რომ თუ გაიზრდება  $T$ , შემცირდება  $C$ . რადგანაც მცირდება მოხმარება, იზრდება დაზოგვა.



ეს გვაძლევს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ( $NX$ ) დადებით სალდოს.

პასუხი: D


-----

№11

მცირე ღია ეკონომიკაში, რომელიც იწვევს დაბალანსებული ვაჭრობით, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოიწვევს

- A. უარყოფით კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და სავაჭრო ნამეტს
- B. დადებით კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და სავაჭრო ნამეტს

- C. დადებით კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და სავაჭრო დეფიციტს
- D. უარყოფით კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და სავაჭრო დეფიციტს



როგორც გრაფიკიდან ჩანს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს NX-ის დადებით სადღოს, ანუ ექსპორტი აჭარბებს იმპორტს (ჩნდება სავაჭრო ნამეტი). და რადგანაც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება უდრის მინუს NX-ს, იგი იქნება უარყოფითი.

პასუხი: A

№12

ორი ქვეყნის ვალუტის ფარდობითი ფასი, როგორც არის 150 იენი 1 აშშ დოლართან, არის

- A. ნომინალური გაცვლითი კურსი
- B. რეალური გაცვლითი კურსი
- C. მსყიდველობით-უნარიანობის პარიტეტი
- D. მუდმივი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი

პასუხი: A

№13

თუ ნომინალური გაცვლითი კურსი არის 1 ევრო – 2.14 ლარი. ბიგ-მაკი საქართველოში ღირს 4 ლარი, ხოლო გერმანიაში 0.94 ევრო. რა არის ლარის რეალური გაცვლითი კურსი ევროსთან მიმართებაში?

- A. 1.15
- B. 2
- C. 5
- D. 9.1

ამოსხნა:

$\varepsilon = e * \frac{P}{P^*}$ , სადაც P საქართველოს ფასია, P\* კი გერმანიის ფასი. e კი ნომინალური გაცვლითი კურსი. თუმცა  $e \neq 2.14$ , რადგანაც იგი 1 ევროს ნომინალური გაცვლითი კურსია და არა ერთი ლარისა. ანუ

$$\frac{2.14 \text{ GEL}}{1 \text{ EURO}} = 1$$

ეს ტოლობა ნიშნავს რომ 1 ევროში მოთავსდება 2.14 ლარი, ანუ გვიჩვენებს რამდენი ლარი მოთავსდება 1 ევროში. ჩვენ კი გაინტერესებს პირიქით: რამდენი ევრო მოთავსდება 1 ლარში.

$$2.14 \text{ GEL} - 1 \text{ EURO}$$

$$1 \text{ GEL} - X \text{ EURO}$$

$$X = \frac{1}{2.14} \approx 0.47 \quad \text{ანუ} \quad \frac{0.47 \text{ EURO}}{1 \text{ GEL}} = 1$$

ე.ი  $e=0.47$

$$\varepsilon = e * \frac{P}{P^*} = 0.47 * \frac{4}{0.94} = 2$$


პასუხი: B

№14

თუ ქვეყნის რეალური გაცვლითი კურსი მცირდება, მაშინ

- A. წმინდა ექსპორტი იზრდება
- B. წმინდა ექსპორტი მცირდება
- C. ექსპორტი და იმპორტი იზრდება თანაბარი სიდიდით
- D. ექსპორტი და იმპორტი მცირდება თანაბარი სიდიდით

როდესაც რეალური გაცვლითი კურსი **მაღალია**, ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქცია უფრო ძვირია. ფასების სიძვირე განაპირობებს ექსპორტის შემცირებას (ვინაიდან. თუ ჩვენი პროდუქცია ძვირია, ქვეყნებისთვის წამგებიანია ამ საქონლის ყიდვა). ხოლო ჩვენი ქვეყნის ექსპორტის შემცირება თავის მხრივ **ამცირებს წმინდა ექსპორტს**. და პირიქით, როდესაც რეალური გაცვლითი კურსი **დაბალია** – **წმინდა ექსპორტი იზრდება**. ე.ი რეალურ გაცვლით კურსსა და წმინდა ექსპორტს შორის არის უკუპროპორციული ურთიერთ-დამოკიდებულება. ეს კარგად ჩანს გრაფიკზეც:




პასუხი: A

№15

შეარჩიეთ სიტყვათა წყვილი, რომელიც სწორად ავსებს წინადადებას. თუ სახელმწიფო ხარჯებს ზრდის, ეროვნული დანახოები \_\_\_\_\_ და რეალური გაცვლითი კურსი \_\_\_\_\_

- A. მცირდება, მცირდება
- B. მცირდება, იზრდება
- C. იზრდება, იზრდება
- D. იზრდება, მცირდება

დანახოვი შედგება 2 ნაწილისგან: რასაც სახელმწიფო ზოგავს და რასაც მოსახლეობა ზოგავს. ანუ  $s=Y-C-G$ . თუ გაიზრდება  $G$ , ბუნებრივია შემცირდება  $s$ , რაც გამოიწვევს რეალური გაცვლითი კურსის ზრდას.



პასუხი: B

---

№16

მცირე ღია ეკონომიკის მოდელში, თუ სახელმწიფო ზღუდავს იმპორტს უცხოურ მანქანებზე, მაშინ წმინდა ექსპორტი

- A. გაიზრდება, რადგანაც ნაკლები ავტომობილები იმპორტირდება
- B. დარჩება მუდმივი სიდიდით, რადგანაც დანაზოგები და ინვესტიციები არ შეიცვლება
- C. შემცირდება, რადგანაც რეალური გაცვლითი კურსი გაიზრდება
- D. გაიზრდება, რადგანაც რეალური გაცვლითი კურსი შემცირდება

პასუხი: A

---

№17

ვთქვათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ინფლაციის დონე შეადგენს 10%-ს, ხოლო დიდ ბრიტანეთში 12 %-ს. აშშ დოლარი 3 პროცენტით მყარდება ბრიტანულ ფუნტთან მიმართებაში, რეალურად რამდენი პროცენტით გამყარდება იგი?

- A. 1 %
- B. 13 %
- C. 15 %
- D. 25 %

ამოხსნა:

$\varepsilon = e * \frac{P}{P^*}$  ფორმულიდან გამომდინარეობს ფორმულა  $\Delta\varepsilon = \Delta e + \Delta P - \Delta P^*$  ,სადაც

$\Delta\varepsilon$  არის რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება (ამ ამოცანაში საძიებელი უცნობი);

$\Delta e$  არის ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება;

$\Delta P$  არის ქვეყნის ფასების დონის ცვლილება, ანუ ინფლაცია ქვეყანაში

$\Delta P^*$  კი არის მეორე (სხვა) ქვეყნის ფასების დონის ცვლილება, ანუ ინფლაცია მეორე (სხვა) ქვეყანაში

მოცემულობის თანახმად  $\Delta e = 0.03$   $\Delta P = 0.1$  და  $\Delta P^* = 0.12$

$$\Delta\varepsilon = 0.03 + 0.1 - 0.12 = 0.01$$

პასუხი: A

-----  
№18

კანონს, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში მოქმედებს ერთი ფასი ეწოდება:

- A. არბიტრაჟი
- B. ნომინალური გაცვლითი კურსი
- C. რეალური გაცვლითი კურსი
- D. მსყიდველობით-უნარიანობის პარიტეტი

პასუხი: D

-----

№19

ველოსიპედი საქართველოში ღირს 300 ლარი, ხოლო დიდ ბრიტანეთში 150 ფუნტი. როგორი უნდა იყოს ნომინალური გაცვლითი კურსი, რათა მოქმედებდეს მსყიდველობით-უნარიანობის პარიტეტი?

- A. 0.5
- B. 1
- C. 2
- D. 2.5

ამოხსნა:

300 ლარი = 150 ფუნტი

1 ლარი – X ფუნტი

$X = 150/300=0.5$

პასუხი: A

-----

№20

ნომინალური გაცვლითი კურსი ევროსთვის არის 0.75 ევრო 1 დოლარზე. ავტომობილი გერმანიაში ღირს 10,000 €, ხოლო აშშ-ში \$12,000. რას უდრის აშშ დოლარის რეალური გაცვლითი კურსი?

- A. 0.75
- B. 0.9
- C. 1.2
- D. 1.1

ამოხსნა:

$$\varepsilon = e * \frac{P}{P^*} = 0.75 * \frac{12,000}{10,000} = 0.9$$

პასუხი: C

-----

№21

ვთქვათ, ქვეყანა განიცდის ინფლაციას, მაშინ როდესაც ნომინალური გაცვლითი კურსი და ფასების დონე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში უცვლელი რჩება. რა მოუვა ამ ქვეყნის რეალურ გაცვლით კურსს და წმინდა ექსპორტს?

- A. რეალური გაცვლითი კურსი შემცირდება; წმინდა ექსპორტი გაიზრდება
- B. რეალური გაცვლითი კურსი შემცირდება; წმინდა ექსპორტი შემცირდება
- C. რეალური გაცვლითი კურსი გაიზრდება; წმინდა ექსპორტი შემცირდება
- D. რეალური გაცვლითი კურსი გაიზრდება; წმინდა ექსპორტი გაიზრდება

ქვეყანაში იზრდება ფასების საერთო დონე. ფასების სიძვირე განაპირობებს ექსპორტის შემცირებას (ვინაიდან. თუ ჩვენი პროდუქცია ძვირია, ქვეყნებისთვის წამგებიანია ამ საქონლის ყიდვა). ხოლო ჩვენი ქვეყნის ექსპორტის შემცირება თავის მხრივ ამცირებს წმინდა ექსპორტს.

$\varepsilon = e * \frac{P}{P^*}$  ფორმულაში, მოცემულობის თანახმად,  $e$  და  $P^*$  არ იცვლება. ბუნებრივია  $P$ -ს გაზრდა გამოიწვევს  $\varepsilon$ -ის გაზრდას.

პასუხი: C

-----

№22

შემდეგი დებულებებიდან, რომელი გამოიწვევს რეალური გაცვლითი კურსის შემცირებას?

- A. An exogenous increase in foreign demand for domestic goods
- B. An exogenous decrease in investment
- C. სახელმწიფო შესყიდვების ზრდა
- D. გადასახადების შემცირება

პასუხი:

---

№23

თუ იაპონიის მთავრობას უნდა შეამციროს თავისი სავაჭრო ნამეტი ამერიკასთან, რომელი ზომებს უნდა მიმართოს ამისათვის?

- A. მოხსნას ამერიკულ მანქანებზე საიმპორტო ქვოტები
- B. დააწესოს სავაჭრო ქვოტები იაპონურ მანქანებზე
- C. შეიმუშაოს კანონი, რომელიც იაპონურ კომპანიებს გახდის ნაკლებ კონკურენტულს
- D. არცერთი წინა პასუხი სწორი არ არის.

ამერიკული მანქანების იმპორტზე ქვოტების მოხსნის შემთხვევაში გაიზრდება იმპორტი რაც შეამცირებს NX-ს.

პასუხი: A

---

№24

ადგილობრივი ინფლაცია	5 %
სხვა ქვეყნის ინფლაცია	6 %
ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება	3 %

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოთვალეთ რამდენია რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება?

- A. 2 %
- B. 3 %
- C. 5 %
- D. 8 %

ამოხსნა:

$$\Delta \varepsilon = \Delta e + \Delta P - \Delta P^* = 0.03 + 0.05 - 0.06 = 0.02 \text{ ანუ } 2 \%$$

პასუხი: A